

# საზოგადოების ხედვა საქართველოს კონსტიტუციის რეფორმაზე

Georgian constitutional reform in the eyes of the public



# საზოგადოების ხედვა საქართველოს კონსტიტუციის რეფორმაზე

ანგარიში მომზადებულია მრავალპარტიული დემოკრატიის  
ჭოლანდიური ინსტიტუტისთვის (NIMD)

## Georgian constitutional reform in the eyes of the public

*A report prepared for the Netherlands Institute for Multiparty Democracy (NIMD)*

ეს პუბლიკაცია არ გამოხატავს რაიმე  
სახელმწიფო ან პოლიტიკურ ინტერესს.  
პუბლიკაციაში ასახული მოსაზრებები არ  
არის აუცილებელი ასახავდეს NIMD-ის, CRRC-  
ის ან მათი მმართველობების მოსაზრებებს

This publication is not a reflection of any specific  
national or political interest. Views expressed in  
this publication do not necessarily represent the  
views of NIMD or CRRC.

---

# შინაარსი

## Contents

შესავალი (ლევან ცუცქირიძე)	4	ვინ ხელმძღვანელობს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას? (% განათლების მიხედვით)	32
<i>Preface (Levan Tsutskiridze)</i>	<i>16</i>	Who chairs the Georgian State Constitutional Commission? (% by education)	
საზოგადოების ხედვა საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმაზე (CRRC)	8	ახალ კონსტიტუციას რა გავლენა ექნება შემდეგ სფეროებზე? (%)	33
<i>Georgian constitutional reform in the eyes of the public (CRRC)</i>	<i>19</i>	If a new constitution is adopted, how will it affect the following? (%)	
გრაფიკი / Charts	25-54	ესაჭიროება თუ არა საქართველოს ახალი კონსტიტუცია? (% საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)	34
რამდენად კარგად იცნობთ საქართველოს კონსტიტუციას? (%)	26	Does Georgia need a new constitution? (% by settlement type)	
How well do you think you know the Georgian constitution? (%)		ესაჭიროება თუ არა საქართველოს ახალი კონსტიტუცია? (% განათლების მიხედვით)	35
რამდენი წევრია საქართველოს პარლამენტში? (%)	27	Does Georgia need a new constitution? (% by education)	
How many members are there in the Georgian parliament? (%)		ახალი კონსტიტუციის მიღების შემთხვევაში... (% საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)	36
რისთვის შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია? (%)	28	If a new Constitution is adopted... (% by settlement type)	
For what reason was the Georgian State Constitutional Commission established? (%)		ახალი კონსტიტუციის მიღების შემთხვევაში... (% განათლების მიხედვით)	37
თქვენი აზრით, ესაჭიროება თუ არა საქართველოს ახალი კონსტიტუცია? (%)	29	If a new Constitution is adopted... (% by education)	
In your opinion, does Georgia need a new constitution? (%)		რა მიზნით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია? (% საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)	38
თქვენი აზრით, სწორია თუ მცდარი დებულება (%)	30	For what purpose was the Georgian State Constitutional Commission established? (% by settlement type)	
In your opinion, are these statements true or false? (%)		ვინ ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას? (%)	31
ვინ ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას? (%)	31	Who chairs the Georgian State Constitutional Commission? (%)	
Who chairs the Georgian State Constitutional Commission? (%)		რომელ დებულებას ეთანხმებით? (%)	39
		Which of the following statements do you agree with? (%)	

<p>რომელ დებულებას ეთანხმებით? (%) 40 Which of the following statements do you agree with? (%)</p>	<p>ვინ უნდა იღებდეს შემდეგ გადაწყვეტილებებს? (% საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) 47 Who should make decisions in Georgia on the following? (%)</p>
<p>ამ ორიდან, რომელ დებულებას ეთანხმებით? (% ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების მიხედვით) 41 Which of the two statements do you agree with? (% by support for government)</p>	<p>ვინ უნდა იღებდეს შემდეგ გადაწყვეტილებებს? (% ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების მიხედვით) 48 Who should make decisions in Georgia on the following? (% by support for government)</p>
<p>თქვენი აზრით, რა გზით უნდა იქნას მიღებული საქართველოს ახალი კონსტიტუცია? (%) 42 In your opinion, how should a new constitution be adopted in Georgia? (%)</p>	<p>ქვემოთ მოყვანილ რომელ დებულებას ეთანხმებით? (%) 49 Which of the following statements do you agree with? (%)</p>
<p>ხვალ რომ რეფერენდუმი იყოს, სახელმწიფოს მოწყობის რომელ სისტემას დაუჭერდით მხარს? (%) 43 If a referendum were held tomorrow on the most acceptable state system in Georgia, which one would you vote for? (%)</p>	<p>ვინ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე? (%) 50 Who should make decisions in Georgia on the following? (%)</p>
<p>ხვალ რომ რეფერენდუმი იყოს, სახელმწიფო მოწყობის რომელ სისტემას დაუჭერდით მხარს? (% საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) 44 If a referendum were held tomorrow on the most acceptable system for Georgia, which one would you vote for? (% by settlement type)</p>	<p>ვინ უნდა იღებდეს შემდეგ გადაწყვეტილებებს? (% საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) 51 Who should make decisions in Georgia on the following? (% by settlement type)</p>
<p>ხვალ რომ რეფერენდუმი იყოს, სახელმწიფო მოწყობის რომელ სისტემას დაუჭერდით მხარს? (% ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების მიხედვით) 45 If a referendum were held tomorrow on the most acceptable system for Georgia, which one would you vote for? (% by support to government)</p>	<p>რამდენად ეთანხმებით/არ ეთანხმებით მოცემულ დებულებებს? (%) 52 How strongly do you agree or disagree with the following statements? (%)</p>
<p>ვინ უნდა იღებდეს შემდეგ გადაწყვეტილებებს? (%) 46 Who should make decisions in Georgia on the following? (%)</p>	<p>როგორ შეაფასებდით სასამართლოს დამოუკიდებლობას საქართველოში? (%) 53 How would you assess the independence of courts in Georgia? (%)</p>
<p>ვინ უნდა იღებდეს შემდეგ გადაწყვეტილებებს? (%) 46 Who should make decisions in Georgia on the following? (%)</p>	<p>ქვემოთ მოყვანილ რომელ დებულებას ეთანხმებით? (%) 54 Which of the following statements do you agree with? (%)</p>



# შესავალი

ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი მოხარულია წარმოგიდგინოთ ჩვენი შრომის პირველი შედეგი, რომელიც თანამონაწილეობაზე, გაზიარებასა და კონსენსუსზე დაფუძნებული საკონსტიტუციო რეფორმის მხარდაჭერისკენაა მიმართული. კონსტიტუცია ნებისმიერი დემოკრატიის ქვაკუთხედი, რამდენადაც ის სახელმწიფოს ბუნებას და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილებას განსაზღვრავს. კონსტიტუცია ასევე განმარტავს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას მოქალაქეების მიმართ, ვინც მათი ძალაუფლების უხეანეს წყაროს წარმოადგენს. საკანონმდებლო ასპექტთან ერთად, საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხიცაა. ყველა დაინტერესებული მხარე იყოს უნდა იყოს ჩართული ძალაუფლების გადანაწილების, კონტროლისა და ბალანსის განსაზღვრის პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, თავისუფალი და თანასწორი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა. ამ მხრივ, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ მხარდაჭერილი კვლევა საკონსტიტუციო ცვლილებებზე, პოლიტიკური დისკურსის უკეთ სტრუქტურირებას შეუწყობს ხელს.

ჩვენ, მრავალპარტიული დემოკრატიის ჰოლანდიური ინსტიტუტი (NIMD), მხარს ვუჭერთ საქართველოს მრავალპარტიულ, პლურალისტურ და სტაბილურ დემოკრატიად გარდაქმნას, რასაც პარტიათა შორის დიალოგით, კონსენსუსის ფასილიტაციით, ნდობაზე დაფუძნებული გარემოს შექმნით, ინსტიტუციურ განვითარებაში პოლიტიკური პარტიების მეტად ჩართვით და საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ გამჭვირვალე დებატებში მათი თანამონაწილეობით ვახორციელებთ.

კვლევა NIMD-ის მხარდაჭერით ჩლდჩ-მა განახორციელა. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საკონსტიტუციო რეფორმის პროცესზე და მმართველობის არქიტექტურაზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიგნებები. მათ გაცნობამდე, გვსურს რამდენიმე საკითხზე ჩვენი დაკვირვება გაგიზიაროთ.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მწირი წარმოდგენა აქვს კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებების და ინსტიტუციების შესახებ. გამოკითხულთა მხოლოდ ერთი პროცენტი ფიქრობს, რომ კონსტიტუციას კარგად იცნობს. 50 პროცენტს წარმოდგენა არ აქვს, რისთვის შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. საკონსტიტუციო რეფორმის მოსალოდნელ პოზიტიურ შედეგებად - ადამიანის უფლებები, სასამართლოს დამოუკიდებლობა და არჩევნების გამჭვირვალობა - დასახელდა. კითხვაზე, რას შეცვლის ახალი კონსტიტუცია, პასუხი “არ ვიცი”, ყველა შესაძლო ვარიანტს შორის, 50 პროცენტს აღემატებოდა.

დედაქალაქის გარეთ მცხოვრებ რესპონდენტთა 60 პროცენტი ეჭვქვეშ აყენებს, რომ ახალი კონსტიტუცია მეტად გამჭვირვალე არჩევნებს უზრუნველყოფს, 59 პროცენტი უიმედოდ უყურებს სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხს, 57 პროცენტი კი მიუთითებს, რომ განახლებული კონსტიტუცია ადამიანის უფლებებს ჯეროვნად ვერ დაიცავს. მოყვანილი მონაცემები დებატებსა და პოლიტიკურ პროცესებში რეგიონის მოსახლეობის მეტად ჩართვის აუცილებლობაზე მიუთითებს. კვლევის შედეგების მიხედვით, სოფლის მცხოვრებთა პასუხი “არ ვიცი” სჭარბობს ქალაქში გამოკითხულთა იდენტურ პასუხს. შესაძლებელია რომ, რეფორმის პროცესზე მწირი წამოდგენის და პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებჩართულობის მიზეზი რეგიონებში პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების პასიურობაა.

ზოგადად, შემაზვოთელად მიგვაჩნია კვლევაში მიღებული პასუხის - “არ ვიცი” - ასეთი მაღალი მაჩვენებელი. სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტების და დემოკრატიული დისკურსის მდგრადი ტრადიციის დანერგვას მეტი პოლიტიკური აქტივობა სჭირდება. ერთი მხრივ, ყველა მონაწილე დარწმუნებული უნდა იყოს ძალაუფლების რეალიზაციის სამართლებრივი საზღვრების ურყევობაში, მეორე მხრივ, კი ყველა ძირითადი პოლიტიკური მოთამაშე უნდა მოიაზრებოდეს ერთიან პოლიტიკურ კონტექსტში. ხალხი ხშირადაა იმედგაცრუებული პოლიტიკური პროცესებით, განსაკუთრებით ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, რომელსაც

გარე საფრთხეები და ქვეყნის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რყევები დაერთო. პოლიტიკოსებს კი, ასეთ სიტუაციაში, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ - აამაღლონ საზოგადოების მოტივაცია პოლიტიკურ პროცესებში ჩასართავად. აქედან გამომდინარე დიდი სამუშაოა ჩასატარებელი პოლიტიკური პროცესებისადმი საზოგადოების ნდობის აღსადგენად, პოლიტიკურ დისკურსში საზოგადოების ჩართვის მეტად ხელმისაწვდომი პლატფორმის შესაქმნელად. კვლევის მეორე მნიშვნელოვანი მიგნებაა, საზოგადოების დამოკიდებულება ხელისუფლების როლისადმი ზოგადად. 40 პროცენტი ეთანხმება ან საცხებით ეთანხმება დებულებას, რომ მთავრობა “მშობელია”. 44 პროცენტს კი მიაჩნია, რომ მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული. ასეთი მკაფიო გამიჯვნა ხელისუფლების ფუნქციის განსაზღვრისას, ლოგიკურია ტრანსფორმაციის რთულ გზაზე მდგომი სახელმწიფოსთვის. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ქვეყანა მნიშვნელოვანი საკითხების და უპირატესობების ჩამოყალიბების ყველაზე გადამწყვეტ ეტაპზეა. გამოკითხულთა 15 პროცენტი, ვერ აკეთებს არჩევანს, რომელი ტიპის როლს დააკისრებდა მთავრობას. მიგვაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი სეგმენტია, რომელსაც შეუძლია ქვეყნის განვითარების კურსი საბოლოოდ განსაზღვროს. კიდევ ერთხელ გვსურს აღვნიშნოთ, რომ დებატები არსებით საკითხებზე და პარტიების და ინსტიტუტების მეტი აქტივობა, საკონსტიტუციო რეფორმის ეფექტიანად წარმართვის მთავარი წინაპირობაა.

ზოგადად, გამოკითხულები მეტად მკაფიო არჩევანს აკეთებენ ლოკალურ პრობლემებთან დაკავშირებით. ისეთ საკითხებზე კი, რომლებიც მათ ყოველდღიურ ყოფას არ განსაზღვრავს, უჭირთ პასუხის გაცემა. ეს ადგილობრივი თვითმმართველობის მეტი ავტონომიის მოთხოვნაზე მიუთითებს - 54 პროცენტი ეთანხმება ან სავესებით ეთანხმება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ექსკლუზიურად უნდა იყოს უფლებამოსილი ადგილობრივი ბიუჯეტის განკარგვაზე. ასევე, მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ადგილობრივი ხელისუფლება უნდა იყოს პასუხისმგებელი პოლიციის უფროსის დანიშვნაზე (75 პროცენტი), გზების მშენებლობაზე (73 პროცენტი) და კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფაზე (70 პროცენტი).

გამოკითხულებს განსაკუთრებით გაუჭირდათ არჩევანის გაკეთება ისეთ საკითხზე პასუხის გაცემისას, როგორც საარჩევნო სისტემა. 36 პროცენტი ვერ ანიჭებს უპირატესობას, რომელი ჯობს - პროპორციული თუ მაჟორიტარული სისტემა. 34 პროცენტი კი ვერ ასახელებს, ხვალ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, ქვეყნის მართვის რომელ ფორმას დაუჭერს მხარს.

საზოგადოების მოთხოვნა ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო და მმართველობის განმსაზღვრელი დოკუმენტის მდგრადობის მიმართ ამკარაა: მოსახლეობის 55 პროცენტი ამჯობინებს, მეტად აქტიურად იყოს ჩართული ახალი კონსტიტუციის მიღების

პროცესში, 26 პროცენტი რეფერენდუმს და შემდგომ საკანონმდებლო გადაწყვეტილებას უჭერს მხარს, 25 პროცენტი კი მხოლოდ სახალხო რეფერენდუმის მომხრეა. ეს პასუხები მიუთითებს გამოკითხულთა სურვილზე, ქვეყანას გააჩნდეს სტაბილური პოლიტიკური და ადმინისტრაციული საფუძველი: 56 პროცენტი ეთანხმება ან სავესებით ეთანხმება, რომ კონსტიტუცია იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იცვლებოდეს.

საქართველო ამჟამად კონსტიტუციის რეფორმირების მნიშვნელოვან პროცესშია. სახელმწიფოს მოწყობის განსაზღვრისას თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც შედეგი, ისე პროცესის მიმდინარეობის ეფექტიანობა და ხარისხი. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ არ არსებობს იდეალური კონსტიტუცია, ყველა კანონი შექმნილია ადამიანების მიერ, პოლიტიკური გარემოს აღქმის და მართვის ბუნებრივი შეზღუდვების გათვალისწინებით. საკანონმდებლო რეფორმის პროცესის ეფექტიანად წარმართვამ საბოლოოდ ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა მოიტანოს, როგორც საერთო ღირებულებების და ხედვის საყოველთაოდ აღიარებაა. როგორც კვლევის შედეგები მიუთითებს, მოთხოვნა მეტ პოლიტიკურ აქტივობაზე, საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიებზე საკმაოდ მაღალია.

ის საჭიროებები და გამოწვევები, რომლებიც კვლევის შედეგებში გამოიკვეთა, ახალი შესაძლებლობების პრესპექტივაა. ჩვენი საქმიანობით, ვიმედოვნებთ რომ,

შევძლებთ წავახალისოთ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ლიდერები, გამოიყენონ ეს შესაძლებლობები. გვჯერა, რომ საქართველოს მომავალი თავისუფალი და თანასწორი საზოგადოებაა. წინამდებარე პუბლიკაცია კი ღირებული უკუკავშირი იქნება კონსტიტუციის რეფორმის მიმდინარე პროცესში, რაც საბოლოოდ ქვეყნის მომავალი განვითარების მტკიცე საფუძველს შექმნის.



# საზოგადოების ხედვა საქართველოს კონსტიტუციის რეფორმაზე

ანგარიში მომზადებულია ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტისა (NIMD) და CRRC-ის მიერ

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

ლევან ცუცქირიძე  
NIMD-ის წარმომადგენელი  
საქართველოში  
[levantsutskiridze@nimd.org](mailto:levantsutskiridze@nimd.org)

## შესავალი

2009 წლის 8 ივნისს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისია დააფუძნა, ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს უოფილი თავმჯდომარის ავთანდილ დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიის წევრები არიან, როგორც აკადემიკოსები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციათა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, ასევე დელეგატები პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, პარლამენტიდან, მთავრობიდან და ეროვნული ბანკიდან.

კომისია ნაწილობრივ 2009 წლის გაზაფხულზე ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის პასუხად შეიქმნა. ხელისუფლების საწინააღმდეგო დემოსტრაციებმა, სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, თბილისის ცენტრის დიდი ნაწილის პარალიზება გამოიწვია. სააკაშვილმა პირველად მაისში, ოპოზიციის ლიდერებთან მოლაპარაკებისას, განაცხადა საკონსტიტუციო რეფორმის გეგმის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ოპტიმალური იქნებოდა “დაბალანსებული სისტემის შექმნა, სადაც ორივესთვის იქნება ადგილი, როგორც ძლიერი პრეზიდენტისთვის, ასევე ძლიერი პარლამენტისთვის”.<sup>1</sup>

არსებულ კონსტიტუციასა და მისი რეფორმირების პროცესზე საზოგადოების დამოკიდებულების წარმოსაჩენად, CRRC-მა 2009 წლის ოქტომბერში საზოგადოების აზრის რეპრეზენტატიული კვლევა ჩაატარა. წინამდებარე ანგარიში მოიცავს კვლევის შედეგებს, რომელიც ასახავს საზოგადოების აზრს საკონსტიტუციო რეფორმაზე, მათ

<sup>1</sup> Civil.ge, ‘პრეზიდენტის შეთავაზება ოპოზიციისთვის’, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=20902>

მოლოდინებს რეფორმირების პროცესზე და პრეფერენციებს ძირითად საკონსტიტუციო პრინციპებზე.

### კვლევის საფუძველი

საქართველოს საკონსტიტუციო სისტემა დიდი ხანია დაპირისპირების საგანს წარმოადგენს. 1995 წლიდან მოყოლებული, როდესაც საქართველომ პირველად შექმნა პოსტსაბჭოთა კონსტიტუცია, შიდა და საერთაშორისო პოლიტიკური აქტორები აქტიურად კამათობდნენ ხელისუფლების გადანაწილების, ძალაუფლების ბალანსირების სისტემისა და ხშირად სახელმწიფოს ბუნებისა და რაობის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლიდან მოყოლებული საფუძვლიანად არ შეცვლილა კონსტიტუცია, ბოლო 15 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქვეყნის კონსტიტუციურმა წყობამ. 1995 წელს საქართველომ შემოიღო მმართველობის ძლიერი საპრეზიდენტო სისტემა, რომლის ფარგლებშიც უოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ერთდროულად წარმოადგენდა მთავრობის და სახელმწიფოს პირველ პირს. მართალია, კონსტიტუციურმა ჩარჩომ თეორიულად ძალაუფლების ბალანსის მოდელი საპარლამენტო და სასამართლო ხელისუფლების მონაწილეობით ნამდვილად შექმნა, მაგრამ იგი ხშირად მიიჩნეოდა როგორც ადვილად მოწყველადი ძალაუფლების გადამეტების თვალსაზრისით.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თაოსნობით, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები 2004

წლის თებერვალში შევიდა ძალაში. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ეს დამატებები წარმოაჩინა, როგორც საქართველოს პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია, მათივე განმარტებით ნახევრად საპრეზიდენტო “ფრანგულ მოდელად”, მთავრობის სათავეში პრემიერმინისტრის თანამდებობის შემოღებით. ამ დამატებებმა კიდევ უფრო გააძლიერა პრეზიდენტის ძალაუფლება, რომელსაც ვეტოს დადების უფლება მიანიჭა და პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნის პროცედურები გაამარტივა. ქართული ოპოზიცია უწყვეტად აკრიტიკებდა ამ სისტემას და საპარლამენტო რესპუბლიკას, მინიმუმ ძლიერ პარლამენტს იცავდა.

2004 წლიდან მოყოლებული კიდევ არაერთი ცვლილება შევიდა კონსტიტუციაში, რასაც ოპოზიციური პარტიები და სამეთვალყურეო ჯგუფები იმთავითვე ეწინააღმდეგებოდნენ.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უკეთ ასახავს დღევანდელ რეალობას და სამომავლოდ უზრუნველყოფს მდგრადობას და სტაბილურობას.

ოპოზიციის მხრიდან, მხოლოდ საპარლამენტო პარტიების წარმომადგენლები შედიან კომისიაში. საპარლამენტო ოპოზიციის იმ წევრებმა - რომლებიც სათავეში ედგნენ გაზაფხულის საპროტესტო აქციებს - უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ კომისიის მუშაობაში. მმართველი პარტიის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ამის მიუხედავად კომისია მაინც შექმნის განახლებულ კონსტიტუციას,

<sup>2</sup> იხილეთ მავალითად [civil.ge/](http://civil.ge/): საია მოუწოდებს დეპუტატებს მხარი არ დაუჭირონ საკონსტიტუციო ცვლილებებს: <http://civil.ge/geo/article.php?id=21776&search=sakonstitucio>

რომელზე მუშაობაც 2010 წლის შუა პერიოდისთვის დასრულდება.

მიღების შემთხვევაში, ეს იქნება მეორე კონსტიტუცია 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. მეტიც, თუ კი კონსტიტუცია მხარდაჭერილ იქნება დაინტერესებულ მხარეთა უმეტესობის მიერ, როგორც ქვეყნის მართვის თანასწორი მოდელი, მას აქვს პოტენციური დიდი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სტაბილურობასა და დემოკრატიის განვითარებაში.

### საქართველოს კონსტიტუცია და რეფორმის პროცესი საზოგადოების თვალთ

საქართველოს კონსტიტუციური მოწოვა პოლიტიკოსთა შორის უთანხმოების საგანია, ოპოზიციურ პარტიათა დიდი ნაწილი მხარს უჭერს საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გადაქცევას, ნაწილი კი საკონსტიტუციო მონარქიას ემხრობა, საქართველოს მოსახლეობის 22 პროცენტმა აღნიშნა, რომ საერთოდ არაფერი იცის დღევანდელი კონსტიტუციის შესახებ. მხოლოდ მოსახლეობის 7 პროცენტი, 10 ბალიან შკალაზე 6-დან 10-მდე აფასებს საკუთარ ცოდნას ძირითად საკონსტიტუციო საკითხებზე (გრაფიკი 1). რესპონდენტების მცირე ნაწილმა, 19 პროცენტმა დაასახელა საქართველოს პარლამენტის წევრთა ზუსტი რაოდენობა (გრაფიკი 2) მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს რეფერენდუმიც კი მოეწყო ამ საკითხზე და საზოგადოების დიდმა ნაწილმა პარლამენტართა რაოდენობის 150-მდე შემცირებას დაუჭირა მხარი.

მიმდინარე პროცესზე მოქალაქეთა მწირი ინფორმირებულობის გათვალისწინებით,

სულაც არ არის გასაკვირი მოსახლეობამ არ იცოდეს საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ. რესპონდენტთა ნახევარმა აღნიშნა, რომ არ იცის, რისთვის შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია (გრაფიკი 3) და 48 პროცენტს არც იმაზე ჰქონდა წარმოდგენა სჭირდება თუ არა საქართველოს ახალი კონსტიტუცია (გრაფიკი 4). აღნიშნული მონაცემები არალოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალ ამბებს ინტენსიურად ეცნობა<sup>3</sup> და შედარებით გაცნობიერებულია მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში (54 პროცენტმა იცის, რომ პარლამენტს აქვს პრეზიდენტის იმპიჩმენტის უფლება, გრაფიკი 5). კავკასიის კვლევის რესურსების ცენტრის კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტების მხოლოდ 19 პროცენტი ასახელებს ავთანდილ დემეტრაშვილს, როგორც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს (გრაფიკი 6), იმ 74 პროცენტისგან განსხვავებით, რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ, ვინ ხელმძღვანელობს კომისიას. მიუხედავად რესპონდენტთა უმაღლესი განათლებისა, მხოლოდ 27 პროცენტმა იცოდა ამის შესახებ (გრაფიკი 6), მაშინ როცა გამოკითხულთა 65 პროცენტმა ზუსტად იცოდა, რომ ჟურნალისტი ინგა გრიგოლია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად არ დაუნიშნავთ (გრაფიკი 5).

საკონსტიტუციო რეფორმის პროცესის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცოდეს რა იქნება კონსტიტუციის რეფორმის შედეგი. მაგალითად, რესპონდენტთა 51 პროცენტი აცხადებს,

<sup>3</sup> ქართული მედიის შესახებ კვლევის ანგარიში იხილეთ: [http://www.epfound.ge/index.php?article\\_id=200&clang=0](http://www.epfound.ge/index.php?article_id=200&clang=0)

რომ გაურკვეველია ახალი კონსტიტუციის ფარგლებში უკეთ იქნება თუ არა დაცული ადამიანთა უფლებები, 52 კი ეჭვს გამოთქვამს იქნება თუ არა სასამართლო მეტად დამოუკიდებელი. მსგავსი გაუგებრობაა ახალი კონსტიტუციის მიმართებასთან ისეთ საკითხებში, როგორცაა ურუნალისტა დამოუკიდებლობა, არჩევნების გამჭვირვალობა, ადგილობრივი თავითმმართველობის გაძლიერება (გრაფიკი 8). შედეგებმა აჩვენა, რომ ინფორმირების სიმწირესთან ერთად, საზოგადოება ეჭვით უჭურებს საერთოდ გამოიღებს თუ არა შედეგს საკონსტიტუციო რეფორმა. რეფორმის პროცესზე საზოგადოების მწირ ინფორმირებულობას მიუთითებს ის, რომ 22 პროცენტის აზრით ახალი კონსტიტუცია პრეზიდენტის ძალაუფლებას გააძლიერებს, 22 პროცენტს სჯერა, რომ იგი პარლამენტს მინიჭებს მეტ უფლებებს, 56 პროცენტს კი წარმოდგენა არ აქვს, როგორ აისახება ახალი კონსტიტუცია პარლამენტზე ან პრეზიდენტზე (გრაფიკი 8).

რესპონდენტები უმაღლესი განათლებით, ისევე როგორც დედაქალაქში მცხოვრები გამოკითხულნი, რომელნიც მეტად ახლოს არიან პოლიტიკურ პროცესებთან დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, ნაკლებად დარწმუნებულნი არიან საკონსტიტუციო რეფორმის ეფექტიანობაში. თბილისის მოსახლეობის 55 პროცენტი ფიქრობს, რომ საქართველოს არ სჭირდება ახალი კონსტიტუცია იმ 33 პროცენტის საპირისპიროდ, ვინც თბილისის გარეთ ცხოვრობს (გრაფიკი 9). მსგავსად, უმაღლესგანათლებულთა 47 პროცენტი ფიქრობს, რომ საქართველოს ესაჭიროება

ახალი კონსტიტუცია, მაშინ როცა 35 პროცენტი საშუალო ან დაწყებითი განათლებით საერთოდ ვერ ხედავს ამის აუცილებლობას (გრაფიკი 10). დედაქალაქის მცხოვრებნი უმაღლესი განათლებით, ასევე, მეტად არიან დარწმუნებულნი ადამიანთა უფლებების, სასამართლოს დამოუკიდებლობის და არჩევნების გამჭვირვალობის კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობაში (გრაფიკი 11 და 12). ეს შესაძლოა იმით აიხსნას, რომ თბილისელები მეტად არიან ჩართულნი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მეტად მრავალფეროვან მედიაზე მიუწვდებათ ხელი. მიუხედავად ზემოთმოყვანილი მონაცემებისა, თბილისის შედეგები მაინც საზოგადოების ნაკლებ ინფორმირებულობაზე მიუთითებს საკვლევ საკითხთან მიმართებაში. საკონსტიტუციო რეფორმის წარმატებისთვის კი აუცილებელია საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა სერიოზულ დებატებში.

**საზოგადოების დამოკიდებულება ახალი საკონსტიტუციო სისტემისადმი**

საზოგადოების წარმოდგენა საქართველოს კონსტიტუციაზე, ისევე როგორც მისი რეფორმის პროცესზე, სხვადასხვაგვარია. მთელ რიგ ფუნდამენტურ საკითხებზე აზრი ორად იყოფა, ისევე როგორც მმართველობის ძირითად პრინციპებზე. 40 პროცენტი ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება იმ დებულებას, რომ ხელისუფლება როგორც მშობელი ისე უნდა ეპყრობოდეს საკუთარ ხალხს (19 პროცენტი საგსებით ეთანხმება). ამასთან, 44 პროცენტი მხარს უჭერს ან მთლიანად უჭერს მხარს, რომ ხელისუფლება ხალხის მიერაა დაჭირავებული (გრაფიკი 14).

პრეზიდენტის და პარლამენტის უფლებამოსილების განსაზღვრისასაც, აზრი ორად იყოფა. 34 პროცენტი ეთანხმება, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს ძლიერი პარლამენტი, მაშინ როცა 29 პროცენტი ძლიერი პრეზიდენტის მომხრეა, 34 პროცენტი კი არჩევანს ვერ აკეთებს (გრაფიკი 15). სააკაშვილის მხარდამჭერები ძლიერ პრეზიდენტს უჭერენ მხარს. მათგან 37 პროცენტი უჭერს ან სავსებით უჭერს მხარს ძლიერ პრეზიდენტს, 30 პროცენტი კი ძლიერი პარლამენტის მომხრეა. მოქალაქეთა ის ნაწილი, რომელიც ოპოზიციურადაა განწყობილი, ძირითადად ძლიერ პარლამენტს ამჯობინებს. მათგან 38 პროცენტი მხარს უჭერს ან სავსებით ემხრობა ძლიერ პარლამენტს იმ 26 პროცენტთან შედარებით, ვისაც პარლამენტს ძლიერი პრეზიდენტი ურჩევნია (გრაფიკი 16). შეხედულებები ასახვს მთავრობის და ოპოზიციის დამოკიდებულებებს აღნიშნულ საკითხზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ხალხის განწყობები და მიმდებლობა კონკრეტული პოლიტიკოსის ან პოლიტიკური პარტიის არჩევანითაა განპირობებული. იმის თაობაზე, თუ რა გზით უნდა მოხდეს ახალი კონსტიტუციის მიღება, მეტად ერთსულოვანია საზოგადოება. საქართველოს მოქალაქეებს სურთ, რომ მათაც ეთქმოდეთ სიტყვა კონსტიტუციის მიღების პროცესში. 55 პროცენტი აღნიშნულ საკითხზე რეფერენდუმს ემხრობა, რაც მიუთითებს რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ეძებს გზას, თუ როგორ ჩაებას ქვეყნის მთავარი დოკუმენტის რეფორმაში, პროცესის მიმდინარეობაზე შეხლუდული წარმოდგენის მიუხედავად (გრაფიკი 17).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას მიეცეს, იქნება საკონსტიტუციო სისტემის ტიპის განსაზღვრა. რესპონდენტები ნაკლებად უჭერენ მხარს ცალსახად საპარლამენტო ან საპრეზიდენტო მოდელს. ხვალ რომ რეფერენდუმში ჩატარდეს ამ საკითხზე, 6 პროცენტი საპარლამენტო სისტემას მისცემდა ხმას პრეზიდენტის გარეშე, 6 პროცენტი კი საპრეზიდენტო რესპუბლიკას არჩევდა. საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ერთგვარი შერეული ტიპის სისტემას უჭერს მხარს. მიუხედავად მოსახლეობის დიდი ნაწილის გაურკვევლობისა საკონსტიტუციო რეფორმისთან დაკავშირებით, 16 პროცენტი უპირატესობას ანიჭებს საპარლამენტო რესპუბლიკას შედარებით შესუსტებული პრეზიდენტით, 25 პროცენტი ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკას ემხრობა (გრაფიკი 19), 34 პროცენტი კი უპირატესობას ვერც ერთ სისტემას ვერ ანიჭებს (გრაფიკი 18). დედაქალაქის მცხოვრებნი, ნაკლებად დაბნეულები ჩანან მიმდინარე რეფორმისთან მიმართებაში. თბილისის მცხოვრებთა მხოლოდ 20 პროცენტი ვერ აკეთებს არჩევანს რომელ სისტემას მისცემდა ხმას, თუმცა უფრო მეტად საპარლამენტოს ემხრობიან.

შერეული საკონსტიტუციო სისტემის პოპულარობაზე მიუთითებს ის, რომ გამოკითხულთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს გადაწყვეტილების მიღების დაბალანსებულ პროცესს პრეზიდენტსა და საკანონმდებლო შტოს შორის. 60 პროცენტი ფიქრობს, რომ პარლამენტმა და პრეზიდენტმა ერთობლივად უნდა დანიშნონ



მთავრობა, 50 პროცენტს კი მიაჩნია, რომ მთავრობა ასევე ერთობლივად უნდა დაითხოვონ პრეზიდენტმა და პარლამენტმა. რესპონდენტები ასევე კეთილგანწყობას გამოხატავდნენ “კონტროლის და ბალანსის” სისტემის მიმართ. 38 პროცენტი ფიქრობს, რომ პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს პარლამენტის დათხოვნის უფლება, მაშინ როცა 48 პროცენტის აზრით, პარლამენტი უნდა იყოს უფლებამოსილი პრეზიდენტის გადაყენებაზე. 50 პროცენტზე მეტს მიაჩნია, რომ მოსამართლეების დანიშვნა და დათხოვნა, ვადამდელი არჩევნების და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებები პრეზიდენტმა და პარლამენტმა ერთობლივად უნდა მიიღონ (გრაფიკი 21). თბილისში მცხოვრები რესპონდენტები, რომლებიც არ უჭერენ მხარს მთავრობას, მეტად ემხრობიან ერთობლივ გადაწყვეტილებებს (გრაფიკი 22 და 23). საზოგადოება ისეთი გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას უჭერს მხარს, რაც ტრადიციულად პარლამენტის ან პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებაა. 51 პროცენტი ფიქრობს, რომ ბიუჯეტი ერთობლივად უნდა დამტკიცდეს. ეს საკითხი, როგორც წესი, საკანონმდებლო შტოს კომპეტენციად განიხილება. 53 პროცენტს კი მიაჩნია, რომ ჯარის გამოყენება თავდაცვისთვის - რაც პრეზიდენტის პრეროგატივაა - ერთობლივად გადასაწყვეტი საკითხია (გრაფიკი 21).

აშკარა მხარდაჭერაა ხელისუფლების დეცენტრალიზაციის საკითხზე. ქართული პოლიტიკის დომინანტი ცენტრალური ხელისუფლებაა, მუნიციპალიტეტებს და საკრებულოებს კი შეზღუდული

უფლებამოსილება გააჩნიათ. გამოკითხულთა 24 პროცენტი ემხრობა ან სავსებით ემხრობა ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას, 54 პროცენტი კი მხარს უჭერს ან სავსებით მხარს უჭერს (14 პროცენტი) ძლიერ ადგილობრივ ხელისუფლებას (გრაფიკი 24). დეცენტრალიზაციის მხარდაჭერა აშკარაა ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობებზე საუბრისასაც. 59 პროცენტი ფიქრობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უნდა იყოს პასუხისმგებელი გზების მშენებლობასა და შეკეთებაზე მათ რაიონში, 41 პროცენტს კი მიაჩნია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა დანიშნოს უზნის და ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელები. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება ყველაზე მეტადაა მხარდაჭერილი ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, როგორცაა ძირითადი გზატკეცილების მშენებლობა (38 პროცენტი), გადასახადების დაწესება (39 პროცენტი), მიწის გამოყენებაზე წესების შემოღება (37 პროცენტი) და სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია (38 პროცენტი) (გრაფიკი 25). დედაქალაქის გარეთ ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიას მეტად უჭერენ მხარს. ეს, შესაძლოა, პროვინციის მოსახლეობის შეზღუდულ უფლებებზე მიუთითებდეს. მონაცემებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდა, როგორც საკონსტიტუციო რეფორმის ნაწილი, დიდად იქნება მხარდაჭერილი საზოგადოების მიერ (გრაფიკი 26).

საზოგადოებას არ გააჩნია მკაფიო არჩევანი, პარლამენტის არჩევის რა სისტემა უნდა არსებობდეს. აზრი გაიყო, ერთნი ფიქრობენ, რომ პარტიული სიებით პარლამენტართა არჩევა მეტად დაიცავს ამომრჩეველთა ინტერესებს, მეორენი კი უპირატესობას მაჟორიტართა პირდაპირი წესით არჩევას უჭერს მხარს. 29 პროცენტი გარკვეულწილად ეთანხმება, რომ პოლიტიკური პარტიები უკეთ დაიცავენ ამომრჩეველთა ინტერესებს, მაშინ როცა 30 პროცენტი მიიჩნევს, რომ მაჟორიტარ პარლამენტარებს მეტი შესაძლებლობა აქვთ დაიცვან მათი ინტერესები (გრაფიკი 26). ამ საკითხმა საზოგადოების მეტი ყურადღება მიიპყრო 2008 წლის მაისში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, როდესაც მმართველი პარტიის ინიციატივით კონსტიტუციაში შესულმა ცვლილებამ პარლამენტის არჩევის შერეული სისტემა დააკანონა. პარლამენტართა ნახევარი 75 სულ) პარტიული სიით იქნა არჩეული, ნახევარი კი პირდაპირი წესით. კონსტიტუციის დამატებები გააკრიტიკეს ოპოზიციურმა პარტიებმა და სამეთვალყურეო ჯგუფებმა. ხელისუფლებამ კი აღიარა, რომ სისტემა მართლაც პრობლემურია, განსაკუთრებით თანასწორი რეპრეზენტატიულობის თვალსაზრისით. ეს საკითხი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ უნდა მოაგვაროს. კვლევის შედეგების მიხედვით, ამჟამინდელი შერეული საარჩევნო მოდელის რეფორმირებული ვერსია მეტნაკლებად მისაღები უნდა იყოს ფართო საზოგადოებისთვის.

საკანონმდებლო ანუ ხელისუფლების მესამე შტო ცალკე მიმართულებაა, რომელზეც კომისიამ უნდა იმუშავოს. საქართველოს სასამართლო სისტემა კრიტიკის ძირითადი საგანია არაერთი საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან, რომლებიც მისი დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხზე მიუთითებენ. გამოკითხულთა 55 პროცენტი თანხმდება, რომ სასამართლო დამოუკიდებელია მთავრობაზე, მხოლოდ 3 პროცენტი დარწმუნებული სასამართლოს დამოუკიდებლობაში (გრაფიკი 28). კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ამ ნდობის დაბალი ხარისხი და ახალმა კონსტიტუციამ სასამართლოს დამოუკიდებლობის საფუძველი უნდა შექმნას.

საბოლოოდ, გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ იწონებს კონსტიტუციაში ხშირ ცვლილებებს. მხოლოდ 10 პროცენტი ეთანხმება, რომ მარტივია კონსტიტუციის შეცვლა, იმ 56 პროცენტის საპირისპიროდ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ კონსტიტუციაში ცვლილება ძალიან იშვიათად უნდა შედიოდეს (გრაფიკი 29). ზოგადი გაუცნობიერებლობა საკონსტიტუციო საკითხებში, შესაძლოა, სწორედ ბოლო წლების განმავლობაში კონსტიტუციაში ხშირად შეტანილი ცვლილებებით იყოს გამოწვეული. საქართველოს მოქალაქეებს სურთ, რომ მათი კონსტიტუცია იყოს იმდენად მოქნილი, რომ ახალ გამოწვევებს ყოველგვარი დამატებების გარეშე პასუხობდეს და ამასთან სტაბილურობის გარანტს წარმოადგენდეს.

### დასკვნა

საქართველოს ამჟამინდელი კონსტიტუცია, ახალი დამატებების მიღებამდე, საჯარო კონსულტაციების ერთგვან პერიოდს საჭიროებს. კვლევის შედეგები მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში საზოგადოების ნაკლებ ჩართულობაზე მიუთითებს. რესპონდენტთა ნახევარმა არ იცის, რატომ დაფუძნდა საკონსტიტუციო კომისია. დიდი სამუშაოა გასაწევი საზოგადოების ამ პროცესში ჩასართავად, რათა შეთავაზებული რეფორმა საყოველთაოდ მიღებული და შედეგიანი აღმოჩნდეს.

რეფორმის პროცესის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ძირითადი ნაკლოვანება გაურკვევლობაა იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება საბოლოოდ საქართველოს კონსტიტუცია. რესპონდენტებს არ გააჩნიათ მკაფიოდ გამოკვეთილი არჩევანი, რომელს უჭერენ მხარს - საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო სისტემას. შერეული მოდელი ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი ეთანხმება პრეზიდენტ სააკაშვილს, მოიძებნოს “დაბალანსებული სისტემა სადაც, ორივესთვის იქნება ადგილი, როგორც ძლიერი პრეზიდენტისთვის, ასევე ძლიერი პარლამენტისთვის.”<sup>4</sup>

საკმაოდ გამოკვეთილი პოზიცია გააჩნიათ გადაწყვეტილების მიღების დაბალანსებული პროცესისადმი, როგორც პარლამენტის და პრეზიდენტის, ასევე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შემთხვევაში. რესპონდენტების უმეტესობა მხარს

უჭერს ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდას, რომელსაც დღესდღეობით საკმაოდ მცირე აღმასრულებელი ფუნქცია გააჩნია.

შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ ახალმა კონსტიტუციამ უნდა შეძლოს საზოგადოების ნდობის აღდგენა სასამართლოსადმი. რა სისტემაც არ უნდა შექმნას კომისიამ, ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა გადაწყვეტია, რათა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილი იყოს. საკონსტიტუციო რეფორმის მიმდინარე პროცესი საფუძველს უქმნის მეტად სტაბილურ, მდგრად და დაბალანსებულ სისტემას, მაგრამ მისი წარმატებულად დანერგვა მხოლოდ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და ღია დისკუსიებში მათი ჩართვის მეშვეობითაა შესაძლებელი.

<sup>4</sup> Civil.ge, “პრეზიდენტის შეთავაზება ოპოზიციისთვის”, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=20902>

# Preface

NIMD is happy to present the first output of its work to support the participatory, widely shared and consensus based process of constitutional reform in Georgia. Constitutions serve as building blocks for any democracy as they define the nature of the state and of the distribution of power between the branches of the government. They also define how those who govern are being held accountable by those who are the supreme source of power – the citizens. Apart from its legislative importance, the process of constitutional reform is also a highly political one. It requires that all major stakeholders take part in the process of elaborating on how power should be wielded, checked and balanced to ensure that effective governance reinforces fundamental human rights and the livelihood of a free and fair society. In this regard, it is hoped that this study will help in better structuring political discourse on constitutional changes.

The Netherlands Institute of Multiparty Democracy (NIMD) is committed to supporting Georgia on its path to transforming into a truly multiparty, pluralistic and stable democracy. It does so by encouraging a multi-party dialogue, facilitating consensus and confidence building, investing in institutional development of political parties and supporting a transparent and participatory debate on constitutional reforms.

This report, a result of the study commissioned by NIMD and implemented by the Caucasus Research Resource Center (CRRC), presents the first findings of an opinion survey on the issues pertaining to constitutional and governance processes and their architecture. While you will undoubtedly find many interesting insights in this analysis, we would like to share with you some of our observations.

As the results of the survey demonstrate, the majority of the Georgian population lacks awareness of the basic rights and institutions enshrined in the constitution. In our survey, less than 1% of those interviewed said they know the constitution well. 50% of those surveyed do not know the objective of the State Constitutional Commission. The top three issues to be most positively affected if the new constitution is approved are human rights, independence of courts and transparency of elections. Along the same lines, when respondents were asked what areas will be affected by the new constitution the 'don't know' responses on all available options always stood above 50%. Out of those surveyed, 60% of the population residing outside the capital does not know whether the constitution will lead to more transparent elections and 59% doubt whether it will help with the independence of the judiciary, while 57% do not know whether the new constitution

---

will better protect human rights. These figures leave plenty of room for further debate and more political engagement for and from the regions. The responses of the rural population outscore urban population responses in their 'don't know' answers. It is possible to interpret these high percentages as the result of a lack of awareness and political engagement on the part of political parties and civil society organisations in the regions.

In general, the high number of 'don't know' responses in the survey is concerning. Building viable state institutions, creating lasting traditions of democratic discourse and establishing a political environment requires energetic political activism. On the one hand, all players need to feel confident of the inviolability of legal boundaries of the exercise of power while on the other hand, all major players need to be committed to a common political framework. People may sometimes become disillusioned with a political process, especially after a lengthy period of political stand-off, further aggravated by external shocks and security turbulences. Politicians do, however, bear a special responsibility to inspire and motivate. Hence, a great deal remains to be done in terms of revitalising and increasing general confidence in the political process, and providing more accessible platforms for engaging in a political discourse.

Another important observation that one can draw from the study is the public's attitude towards the role of the government in general. 40% of the surveyed persons either agree or strongly agree with the statement that government resembles a 'parent'. 44% of the survey participants think that the government is an employee of the people. Such an even split between the 'parent' and 'employee' functions of the government appears logical for a state embarked on

a difficult road of transformation. These numbers show that the country is on the tipping point with regards to forming its preferences on this important matter. 15% of the surveyed persons do not know which role they prefer for the government. This is a significant number that can ultimately affect the future course of Georgia's development. Again, more engagement and better debate on the part of the parties and institutions are necessary preconditions for a positive shift.

In general, people are more concerned with local issues (on which they tend to have more clear-cut, well identified preferences) than with the issues that they tend to think do not have a daily impact on their lives. This corresponds with a greater demand for local autonomy – 54% of those surveyed believe or strongly believe that local government should have an exclusive authority over local budgets. There is an evident preference for the local authority over police chief appointment (75%), road construction (73%) and the provision of communal services (70%), either by the local government or jointly with the central government.

